1897/4




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 8 თებერვალი 16 1897 წ. № 8

შინაარსი: დიდი საქმე გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საბერძნეთი და მისი პოლიტიკა გ. წ—ისა.—საყვარელის ფილოსოფია ლექსი—დუტუ მეგრელისა.—პოლიტიკური პარტიები გერმანიაში (შემდეგი), ნ. ჟ—ასი.—საციციანოს მთა და მისი არხეოლოგიური ნაშთები იასონ ციციშვილისა.—ნიკოლოოზ ბარათაშვილი და მისი დრო (წერილი მესამე) ხომლელისა —*** ლექსი—ფანდისა.—ჩვენი სახიობა.—მოჩვენება მოთხრობა ვაჟა-ფშაველასი.—განცხადებანი.—

## დიდი საქმე.

„გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თვისისა და თესვასა მას მისსა, რომელიმე დაჰვარდა ქვეყანასა კეთილსა, და აღმოცენდა და ჰყო ნაყოფი ასი წილი“. სახარ. ლუკასი, თავი 8.

წელსა 1895, სეკტემბრის 11 მთელმა საქართველოს ერმა თავის წარმომადგენელთა თანადასწრებით გადიხადა კრწანისის ველზე ასი წლის მოხსენება ერეკლე მეფის გმირული ბრძოლისა აღამამაჰადხანის წინაამდეგ, ეს იყო დიდი მეფის უკანასკნელი თავგანწირული იერიში საქართველოს ერის თავისუფლების დასაცველათ. აქ დამსწრე ქართველები თვალცრემლიანნი იგონებდენ მწუხარე წამს თავის თვითარსებობის მოსპობისას და გულში ღრმათ ებეჭდებოდათ იმედი უკეთესი მომავალისა. ამა მწუხარე წამის მოსაგონებლათ ერის გულში დაიბადა და სტამბითაც გამოითქვა მრავალნაირი აზრი, თუ როგორი შესაფერი სახსოვრით უნდა ყოფილიყო გამტკიცებული შთამოების წინაშე ეს იმედი უკეთესის მომავალისა. ზოგმა გამოთქვა, კრწანისის ველზე დიდი ერეკლე მეფის ძეგლი დავდგათო. ზოგმა ეკლესია ავაგოთ, ან სამლოცველო ავაშენოთო.

ხოლო „კვალის“ რედაქციამ, აი, რა წარმოთქვა..

„ჩვენ ქართველები ისე გამდიდრებული და გაძლიერებული არა ვართ, რომ ძეგლებისათვის ფულები გაბნიოთ და ყველაზე უსაჭიროესი ამ ჟამათ მოთხოვნილება კი დავივიწყოთო. და განა ნივთიერი ძეგლების მეტი სახსოვრათ არა იქნებარა? რა ძეგლი იქნება იმაზე უკეთესი, თუ რომ შევკვეთლებ ირაკლი-მეფის გულში ჩამარხული დიდებული აზრი განვახორციელოთ? რა იქნება იმაზე უდიდესი, რომ „ირაკლი მეფის თავნი“ შევადგინოთ და იმითი ევროპაში გვზავნოთ ჩვენი ახალგაზდები განათლების მისაღებათ? განა ნივთიერ ძეგლზე უმჯობესი არ იქნება, რომ ევროპის დედა-ქალაქებში, მაგალითათ, რომში, პარიზში, ლონდონში, ვენაში, ბერლინში და შვეიცარიაში ირაკლი-მეფის სახელზე სტიპენდიატები გვეზრდებოდეს? ამისთვის თავნის დასაარსებლათ, ვგონებთ, საქართველოს ხალხი თავის წვლილს არ დაიშურებს. დავარქვათ ამ თავნს „ირაკლის თავნი“, რომლის შემწეობით ევროპაში გვყავდეს ჩვენი ქვეყნის შვილები მეცნიერების გამომსახველად. ამაზე უდიდესი ძეგლი მეფის ირაკლის სასახელოთ და სახსოვრათ რაღა იქნება? მივცეთ მეფის ირაკლის ძვლებს სამარეში განსვენება მითი, რომ რაც იმას დარჩა ცხოვრებაში აუსრულებელი, მისი

სახელით შეგროვილმა დიდმა თავნმა განახორციელოს მომავალში დიდებული მეფის სულის კვეთება და საქართველო ევროპას დაუახლოვოს“.

ეს სიტყვები იმდროს მართლაც მკაფიოთ მოხვდა საქართველოს ერის გულს, თესლი დაეცა ნაყოფიერ ნიადაგზე. მაშინვე იწყო რედაქციებში ფულის მოდენა; მაგრამ წლის გასულს მოულოდნელმა უბედურებამ ჩვენი ქვეყნისამ შეწყვიტა ეს ქველი საქმე. დადგა ბედშავი ნაკის წელიწადი 1896-სა. საქართველოს ერი ჯერ სასტიკმა ზამთარმა, შემდეგ საშინელმა რლვნამ და ბოლოს არაჩვეულებრივმა მოუსავლობამ მეტათ დააზარალა. ამას ზედ დაერთო ქვაგუნდის წარმოების დაცემა. უმისოთაც გასაწყლებულ ქართველ ხალხს შიმშილობით და მთელი სოფლების ზვავებით აკლებით სადღა შეეძლო ამ დიდებული საქველ-მოქმედო საქმის განგრძობა. ამ უნუგეშო მდგომარეობაში ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიც ველარ ბედავდენ ირაკლის თავნის შეგროვებაზე ლაპარაკს. მაგრამ ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავდით, რომ ეს დიდი საქმე ქართველი ერის გულიდან არ ამოიფხვრებოდა და კეთილი თესლი თავის ნაყოფს, ადრე თუ გვიან, უეჭველათ მოიტანდა; სიტყვა საქმეთ იქცეოდა. მართლაც დღეს ამ ერის საკეთილდღეო საქმემ ისევ თავი იჩინა. „ირაკლის თავნის“ მკვიდრათ დაარსებისათვის შედგა ქალთა კომიტეტი. თვით ირაკლი მეფის შთამომავლობაში აღმოჩნდა ამისთვის ცხოველი ნაპერწკალი და ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მეფის ირაკლის საყვარლის ასულის თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილებმა თავს იდვეს ამ დიდი საერო საქმის განხორციელება. ამ კომიტეტში თავობენ საქმეს კნ. ნინა ქობულოვისა, კნეინა მარიამ შარვაშიძისა, და აგრეთვე თეკლეს შვილიშვილი, თეკლე ორბელიანის ასული, კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანის ძმისწული — ამ სამმა წარჩინებულმა მანდილოსნებმა იკისრეს თავის სახელოვანი პაპის სახსოვრათ ისეთი თავნის დაარსება, რომ მისი შემწეობით იგზავნებოდენ საუკეთესო ახალგაზდა მამულის შვილები საზღვარ გარეთ განსავითარებლათ. იმათ მოიწვიეს დასახმარებლათ კნ. ელ. ერისთავისა; მ. დემურიასი, ან. თუმანიშვილი-წერეთლისა კნ. ნ. ნაკაშიძისა და შეუდგენ საქმეს. ამ ჟამათ ისინი უკვე უგზავნიან საზღვარ გარეთ ერთ ახალგაზდა ქართველს, რომელმაც წარსულ წელს ოქროს მედლით გაათავა ოდესის უნივერსიტეტი, თვეში ოც-და-ხუთ მანეთს. მათი განზრახვაა მოიწვიონ მთელი საქართველოს გულშემატკივარნი თავიანთი წვლილის გამოსაღებათ. იმათ სურთ ამ საქმისათვის ყოველ საქართველოს ქალაქში, დაბაში და სოფლებში დააარსონ კერძო კომიტეტები და აგენტები ირაკლის თავნის საგროვებლათ. ამ თავნის ერთი ნაწილი ახლავე მოხმარდება მათ მიერ არჩეულ ახალგაზდების შესაწევნელათ საზღვარგარეთ, ხოლო მეორე ნაწილი ამ შეგროვილი ფულისა უნდა მუდამ იზარდოს ყოველნაირი ღონისძიებით, რომ უფრო მკვიდრი საფუძველი ექნეს არჩეული ახალგაზდების გასაგზავნათ საზღვარ გარეთ.

„კვალის“ რედაქციას უკვე აქვს შეგროვილი 170 მ. და 90 კ., ამდენივე, თუ მეტი არა, უნდა ჰქონდეს „ივერიის“ რედაქციასაც. ამიერიდან, რასაკვირველია, ყველა ეს ფულები უნდა გადაეცეს „ირაკლის თავნის“ ქალთა კომიტეტს და ყოველ გულშემატკივარს ამ დიდი საქმისას ვიწვევთ თავისი წვლილი არ დაიშურონ წლითი-წლობით.

გაზეთი „კვალი“ თავის სასიამოვნო მოვალეობათ რაცხს გამოაცხადოს ხოლმე შემომწირველთა სახელი და გვარი, აგრეთვე რაოდენობა შემოწირულებისა.

ჩვენი აზრით ამ „ირაკლის თავნს“ უნდა შეუერთდეს განსვენებულის უგანათლებულესის ალექსანდრე ბაგრატიონის სახსოვრათ რაც ფული იკრიბება შორაპნის მაზრაში მისი ძის, ჯერ კიდევ ჩვილის ყრმის დავით ბაგრატიონის სასახელოთ.

გ. წერეთელი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ჭირის მეტი სალაპარაკოთ და საზრუნველათ არაფერი გვაქვს, სხვას აღარას ვაქცევთ ყურადღებას, ის კი გვავიწყდება, რომ ამისთანა უწვიმო ზამთრის გამო შეიძლება შიმშილი გვეწვიოს და ჭ-რს გადარჩენილები შიმშილს ჩაუვარდეთ კლანჭებში.

ხატის-თელეთის ყანებში საოცრათ გამრავლებულან მინდვრის თაგვები, რომელნიც აოხრებენ და ჰლუპავენ მთელ ყანებს; თბილისის მაზრის უფროსმა დახმარებისათვის ბ-ნ გუბერნატორს მიჰმართა, გუბერნატორი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას დაეკითხა ამის შესახებ და ამ უკანასკნელმა კი გადაწყვიტა, სამინისტროში თხოვნა შეიტანოს, რათა იქიდან გამოიგზავნოს მცოდნე პ-რი ამ პატარა, მაგრამ ძალიან საშიშ მტრებთან საბრძოლათ და მათ მოსასპობლათ!

უწვიმობა უთუოთ ბევრგან სხვაგანაც ჩააგდებს ჩვენ ყანებს ამისთანავე სამწუხარო მდგომარეობაში.

* * *

ჩვენი დარბაისელი „წერა-კითხვის“ გამავრცე-

ლებელი საზოგადოება ყოველ წელს მართავს კონცერტს; ახლა ეს კონცერტი არის დანიშნული ყველიერის ხუთშაბათს, 20 თებერვალს, კლუბის დარბაზში. მონაწილეობას მიიღებენ უფრო ჩვენი ქართველები, მაგალითათ: კნ. გურამოვისა, კნ. ამირაჯიბისა, ბატონი აკაკი და ბევრი სხვ... საზოგადოება, იმედია, ჩვეულებრივ თანაგრძნობით მიეგებება კონცერტს და მატერიალურის მხრით ხელს გაუმართავს.

***

გაზეთები გვაუწყებენ, რომ გორის მაზრის უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა თ. ჯანდიერი.

***

გაზეთებიდან გავიგეთ, რომ კავკასიაში ქრისტიანობის ალმადგენელ საზოგადოებას გადაუდვია 5000 მ. თავის ეკლესიებთან სამკითხველოების გასამართავათ. ამ სამკითხველოებში შესაფერი შინაარსის წიგნები იქნება ქართულ და რუსულ ენაზე

ჩვენ, როგორც გვახსოვს, ერთხელაც იყო ამდენივე ფული გადადებული წიგნებისათვის, მაგრამ რა წიგნების შეძენას მოხმარდა, არ ვიცით.

***

კვირას 2 მარტს, დილის ათ საათზე თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია თბილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს წლიური ანგარიში, საბჭოს მოხსენება სათადარიგო თანხის შედგენის შესახებ და 1897 წლის ხარჯთ აღრიცხვა. ამას შემდეგ უნდა ამოირჩიოს ორი დეპუტატი და ერთი დირექტორი ახლანდელების ნაცვლათ, რომელნიც თავს ანებებენ სამსახურს. (ივერია).

იქნება ამ კრებამ მაინც გამოაფხიზლოს ეს საზოგადოება; ვეცდებით, დაწვრილებით ვაუწყოთ მკითხველს ამ ბანკის ვითარება.

***

ქ. კავკავში 4 იანვარს გამართულ საღამოდან, ადგილობრივ ქართული სკოლის სასარგებლოთ, სულ შემოვიდა 331 მ. 60 კ. ხარჯს გარეთ დარჩა 285 მ. 29 კ. ეს ფული მმართველ მანდილოსნებმა გადასცეს კავკავის ქართული სკოლის გამგე კომიტეტს.

***

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უცნობებია კავკასიის სამეურნო საზოგადოებისათვის, რომ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის დახმარებით მიეცემა უფასოთ სამრევლო და სხვა სკოლებს-თესლები და ნერგები სკოლებთან ბაღების გასაშენებლათ.

***

როგორც თბილისის ქალაქის გამგეობის განცხადებიდან ჩანს, 18 მაისს არის დანიშნული ქალაქის ხმოსნების არჩევნები. სიები უკვე შედგენილია, მაგრამ ვისაც არ შეუტანია გადასახადი (1796 წ. მეორე ნახევრისა) 5 მარტამდის ეძლევათ კიდევ ვადა, მას შემდეგ კი არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნებას აღარ მისცემენ. იმედია ჩვენ ქართულ დაუდევრობას უკუვაგდებთ და ფხიზლათ მოვექცევით საქმეს. მართალია, მაისი ჩვენთვის განსაცდელის თვეა, მეტათ აღელვებული ვართ, აღარავის ვინდობთ, არც ნათესავს, არც მეგობარს, მაგრამ იქნება ღმერთმა წრეულს სხვა სიზმარი გვანახოს.

***

გაზ. „Новое Обоз." სიტყვით შეუმუშავებიათ და უკვე წარუდგენიათ მთავრობის წინაშე დასამტკიცებლათ პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ბათუმის ჭაობების ამოსაშრობათ. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ დასჭირდებათ 329, 853 მან. რომლის ერთ მესამედს კისრულობს სამხედრო უწყება, მეორეს —თვით ქალაქი ბათუმი და მესამეს—მამულის პატრონნი.

***

ქალაქ ფოთს დიდი ხანია ესაჭიროებოდა საკრედიტო საზოგადოება; ახლა, როგორც სწერენ გაზ. „ივერიას", სულ მოკლე ხანში ფოთელებს შეუმუშავებიათ პროექტი ფოთის საქალაქო კრედიტის საზოგადოების წესდებისა და დასამტკიცებლათ წარუდგენიათ. იმედია მალე შეუსრულდებათ დიდი ხნის ნატვრა და წამ-და-უწუმ აღარ დაჭირდებათ ფულისთვის თბილისს ან ქუთაისს გაქცევა.

***

ჩვენ მივიღეთ „ქართველთა ამხანაგობის" ორი გამოცემა № 40 და 41. 1) გენრიკ სენკევიჩის რომანი: ცეცხლითა და მახვილით ნათარგმნი გრ. ყიფშიძეს მიერ. ეს რომანი ორი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში". ახლა ცალკე გამოცემათ ღირს 1 მან. და 60 კაპ.

2) დასტურ-ლამა, თხზულება ნ. დადიანისა. ფასი 25 კაპ.

აგრეთვე მოგვივიდა ქუთაისიდან პატარა წიგნაკი „შეშლილი", დრამა-პოემა „გობა ჯიხაიშელისა" დაბეჭდილი ი. კილაძეს და ი. ხელაძეს სტამბაში, ღირს 5 კ.

## საბერძნეთი და მისი პოლიტიკა.

ოსმალეთ-ალმოსავლეთის საქმეებს ახალი ხანა დაუდგა მას აქეთ, რაც კრიტის კუნძულზე ერი ადგა ოსმალეთის ბატონობის მოსასპობათ. ეს კუნძული ძველითგანვე დასახლებულია. იგი არხიპელაგის ზღვაში უძველეს დროიდან წარმოადგენდა საბერძნეთის შუაგულ სავაჭრო წერტილს და საუკეთესო ნავსადგურებით იყო და ახლაც არის გარემოცული. როგორც უძველეს კლასიკურ დროებში კრიტის კუნძული განუყოფელ ნაწილს შეადგენდა საბერძნეთისას, ჩვენ დროშიაც ამ კუნძულს საბერძნეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ის არის საბერძნეთის გასასვლელი კარი ხმელთა-შუა-ზღვაში და საბერძნეთის გემების საუკეთესო ბინა-საჟარი.

მას აქეთ, რაც საბერძნეთი განთავისუფლდა ოსმალეთის მონებისაგან ეს სამოცდაათ წელზე მეტია, რომ იგი მუდამ ცდილობს ამ კუნძულის შემოერთებას, რადგან უიმისოთ საბერძნეთის მეზღვეობა შესაფერათ ვერ გაძლიერდება. არც ერთი ბრძოლა ალმოსავლეთში ისე არ ამტყდარა ამ საუკუნეში ოსმალეთის წინაალმდეგ, რომ საბერძნეთს დიდი შფოთი და დავა არ აეტეხოს ამ კუნძულის შემოერთებაზე. თვით კრიტის კუნძულის მცხოვრებნიც ძალიან მამულის მოყვარული შვილები არიან და მუდამ სულით-და-გულით მონდომებულნი, რომ თავის სამშობლო სახელმწიფოს შეუერთდენ.

ახლა ეს მეექვსეთ არის იქ 1830 წელს აქეთ, რომ საბერძნეთი და კუნძული კრიტი ერთმანეთს თავგამეტებით ხელი-ხელს აწოდებენ შესაერთებლათ, მაგრამ ოსმალეთი ყოველთვის ხმალ ამოღებული ჩამდგარია მათ შუა და ნებას არ აძლევს დედამ შვილი გულზე მიიკრას.

ამ ჟამათ, როგორც ეტყობა, საბერძნეთი თავგანწირულათ გამოსულა ბრძოლის ველზე კრიტელების მისახმარებლათ. თუმცა ევროპის სახელმწიფოები დიდ მუქარას უთვლიან, მაგრამ საბერძნეთი მაინც ბევრს არას ეპუება. თვით საბერძნეთის მთავრობა გულადათ შეიარაღდა და დიდი და პატარა, შორს ქვეყნებში დაქსაქსულ ბერძნებსაც მოუწოდა საომრათ; ახლა ისინი ეშურებიან თავის სამშობლოში წასასვლელათ და მის წმიდა საკურთხევლის წინაშე უნდათ თავი გასწირონ და, რაც შეძლება აქეთ, ისიც ზედ გადააგონ მოძმე ხალხის, კრიტელების, საშველათ.

ასეთი ამბავი დიდი ომის წინა მორბედია, რომელმაც უნდა დააბოლოვოს ალმოსავლეთის საქმე. პატარა საბერძნეთი ასე გულ-ამაყათ ვერ გამოვიდოდა ასპარეზზე ამ ჟამათ, განსაკუთრებით როცა მთელი ევროპის სახელმწიფოები საყოველთაო მშვიდობიანობის დარაჯათ დამდგარან, თუ რომ იმას თავის თვის იმედი არ ჰქონდეს და მასთან ინგლისის დახმარებით ზურგი არ ჰქონდეს გამაგრებული.

ყოველივე ეს ამბავი შემთხვევას გვაძლევს გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს საბერძნეთის ისტორია მეჩვიდმეტე საუკუნეს აქეთ, როცა მან დაიწყო თავის განთავისუფლებისათვის გმირული ბრძოლა და შეისრულა კიდეც გულის წადილი.

საბერძნეთი მდებარეობს ადრიატიდისა და არხიპელაგის ზღვებს შორის ბალკანიის სამხრით და შეადგენს ბალკანის ნახევარ კუნძულის კუდს. სიგძით თავის კუნძულებიანა ოთხას სამოცდა ათი ვერსის მეტი არ იქნება, ხოლო სიგანით ორასი ვერსი; ამ პატარა ქვეყნის სივრცეზე ცხოვრებს ორი მილიონი ორას ჩვიდმეტი ათასი სული ბერძენი.

როდესაც ბერძნებმა 1821 წელს თავისუფლების დროშა ამართეს და შეებრძოლენ ძლიერ ოსმალეთს, მაშინ მათი რიცხვი მილიონ ნახევარიც არ ყოფილა..

გ. წ.

(შემდეგი იქნება).

## სიყვარულის ფილოსოფია.

(შელლიდან).

წყარო შეერთვის მდინარეს,
მდინარე ზღვას უერთდება;
ქარი მიწაზე დასჭქროლავს,
ნისლი ქარს ეალერსება.

—

ყოველი არსი კავშირით
შეუკრავს ტრფიალებასა, —
და საყვარელო, ჩვენ რადათ
გვიშლიან შეერთებასა?.

—

ნაპირს ეკვრიან ტალღანი,
მთანი ცას ებჯინებიან;
ყვავილნი ნაზათ, ვით ძმა დას,
ერთმანეთს ჩაჰკონებიან.

—

ღამე ზღვას ეამბორება,
მიწას დღე გაბრწყინვებული, —
მაგრამ მე რა, თუ შენს ამბორს,
მვირთვასო, ვარ მოკლებული?..

დუტუ-მეგრელი.

# პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

## (გუშინ და დღეს).

### წერილი მეორე *)

#### პარტიათა გამორკვევა და პარტიათა ბრძოლა.

აი ეს სამი უმთავრესი პოლიტიკური მიმართულება დაედვა საფუძვლათ ახალ ცხოვრებას. სამივეს სურს კონსტიტუციური მონარქია, მარა თვითეულს ეს თავისებურათ ესმის, თანახმათ იმისა თუ ის ერის რომელ ნაწილს ეკუთვნის. აზნაურობა იცავს თავის წოდებრივ ინტერესს, ბურჟუაზია თავის მხრივ კაპიტალისტთა ინტერესს, ხოლო ხალხი უმრავლესობის დედა-აზრზე დგას, ყოველისფერი ხალხის სასარგებლოთ უნდა მოეწყოსო. ამის შეგნებული მატარებელი ქალაქების მუშა-ხალხია.

პირველი მიმდინარეობის წარმომადგენელებმა კონსერვატორებმა—ასე მოკლეთ გამოხატეს თავიანთი შეხედულობა: „Autoritaet, nicht Majoritaet“—„ავტორიტეტი (უფროსობა) და არა უმრავლესობა“, ამის გასაყვანათ არ ერიდებოდენ რევოლიუციასაც, მაგრამ რევოლიუციას უკანწამყვანს, რეაქციონურს. დემოკრატებმა ეს შეაბრუნეს და წინაალმდეგი პრინციპი წამოაყენეს: „Majoritaet, nicht Autoritaet“—„უმრავლესობა და არა ავტორიტეტი“. არც ესენი ერიდებოდენ რევოლიუციას, მაგრამ ისეთს, რომელიც ცხოვრებას წინ მიაქანებს და ღრმა ცვლილებას ახდენს. ამათ შუაში გაკვეხებული ლიბერალები იძახოდენ: Ordnung, Ruhe, Friede—წესიერება, მოსვენება, მშვიდობიანობა. ამ პარტიას ყოველივე რევოლიუციონური მოძრაობა შესძულდა, უძრავათ გადაიქცა და თხოულობდა მთელი ქვეყანა ჰასავით უძრავი ყოფილიყო. მის ლტოლვილებას ბოლო მოეღო მაშინვე, როგორც კი სამინისტრო ვაჭრებმა შეადგინა და რასაკვირველია ვაჭრებს ვაჭრები უნდა დაეცვა. და რადგანაც არეულ დროს ვაჭრობა შეფერხებულია, ცხადია მათი რევოლიუციონური მიდრეკილება კონსერვატორულათ უნდა გადაქცეულიყო, წესიერების დამცველათ გამოსულიყო და მით თავისი განვითარების პირობები შეექმნა.

ასეთია ის სამი ძალა, რომელმაც მოიცვა არა მარტო პრუსიის, არამედ მთელი გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება. სამივე ერთმანერთს ებრძვის ბატონობისათვის, სამივე ერთი მეორის მტერია. სამივე მოწოდებულია სახემწიფოს მართვა-გამგეობის მოსაწყობათ. რაზეა დამოკიდებული ეს მოწყობა? ცხადია, ამ სამი ძალის განწყობილებაზე. მათი შეერთება-დაშლა, გადარევ-გადმორევა, ერთი მეორეში გადასვლა-გადმოსვლა, გადადუღებ-გადმოდუღება—აი რამ უნდა ჩამოასხას ერთი სახელმწიფო პოლიტიკა, ერთი მართვა-გამგეობა, ერთი კონსტიტუციონალური წყობილება. სახელმწიფოს ბორბლებს სამივე ჩაფრენია და მიეწიკება ერთი უკან, მეორე წინ, მესამე ერთ ალაგას ამაგრებს და არც ერთს არ ანებებს გასაგორებლათ. რა მხრით უნდა ამოძრავდეს ეს ბორბალი? აშკარაა იმ მხრით, საითკენაც მეტი ძალაა. საითკენ არის მეტი ძალა? ამის გასაგებათ შევიდეთ იქ, სადაც ეს ძალები თავ-მოყრილია და ერთმანერთს ებრძვიან. ეს არის ის დარბაზი, სადაც ხალხის წარმომადგენელნი (დეპუტატები) სხედან და რომელსაც ნაციონალური კრება ანუ პარლამენტი ეწოდება.

8 აპრილს გამოცემული საარჩევნო კანონით ხალხმა აირჩია დეპუტატები და 22 მაისს მათი კრება ბერლინში გაიხსნა. არჩეულ იქმნა: 16 კეთილშობილი, 98 სასამართლოს მოხელე, 48 პოლიციის მოხელე, 28 ქალაქის მოსამსახურე, 52 სასულიერო პირი, 27 მასწავლებელი, 31 ვაჭარი, 28 ხელოსანი, 68 გლეხი, 11 ექიმი, 3 მწერალი, 4 აფიცერი, 1 შეგირდი ხელოსანი და 1 დღიური მუშა. კონსერვატორები ისხდენ მარჯვნივ, მარცხნივ დემოკრატები, შუაზე ლიბერალები. მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტმა უმრავლესობა არ დააკმაყოფილა. აი რამდენიმე მუხლები: შედგენა ორი პარლამენტის: პირველს 160 წევრს ირჩევენ ხალხის მიერ არჩეულნი და არა პირდაპირ ხალხი, დანარჩენთ თვითონ მეფე ნიშნავს. მეორე პარლამენტს ერთიანათ ხალხი ირჩევს, მარა არა პირდაპირ, არამედ არჩეულთა საშუალებით. აქ ორნაირი არჩევანი ხდება. პირველათ ხალხი ირჩევს ვექილთ, შემდეგ ეს არჩეულნი ირჩევენ პარლამენტის დეპუტატებს. ამას ჰქვია არა-პირდაპირი არჩევა. ამ პროექტის წინაალმდეგ პროტესტი განაცხადეს ქალაქების მუშებმა და დემოკრატულ კლუბებმა. ბერლინში ხმა გავრცელდა, ამ პროექტით რეაქცია იწყებაო და ხალხი ამოძრავდა. 14 ივნისს დაეცენ არსენალს, იარაღები გამოიტანეს და შეიარაღდენ. მეორე დღეს (15) ნაციონალურ კრებამ ხმის უმეტესობით უარჰყო მთავრობის კანონ-პროექტი და გადასწყვიტა ახალი პროექტის თვითონ კრების მიერ შემუშავება. ამის გამო ვაჭრების ლიბერალური სამინისტრო გადადგა და შედგა ახალი კაბინეტი, რომელშიაც ზოგი მემარცხენეც მოჰყვენ, როდბერტუსი, (შემდეგ ცნობილი ეკონომისტი). სამინისტრომ თავის პროგრამაში შეიტანა აგრეთვე გადასახადების წესრიგში მოყვანა, სასამართლოს გაუმჯობესობა და სხვ.

*) იხ. კვალი № 7.

კრება არ დაკმაყოფილდა მარტო ამით და მოინდომა თავისკენ მხედრობის მიმხრობა, რომ კონსერვატორთ ხელიდან ძალა გამოცლოდათ. ხმის უმეტესობით დააკანონა: ის ოფიცრები, რომელნიც ახალ წყობილებას არ თანაუგრძნობენ, დათხოვნილ იქმნან სამსახურიდანო. ეს ძლიერ საყურადღებოა, ვინაიდან ჯარის უფროსები ერთიანათ კეთილშობილნი იყვენ. სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება არ მიიღო, სისრულეში არ მოიყვანა და როცა კრებამ ხელმეორეთ დაამტკიცა თავისი განაჩენი, კაბინეტი გადადგა. 21 სექტემბერს შედგა ახალი კაბინეტი განსაკუთრებით სამხედრო პირებისაგან. ნაციონალურ კრებამ განაგრძო თავისი სხდომა და სხვათა შორის დააკანონა: გაუქმება მეფის ტიტულის „მოწყალებითა ღვთისათა“, გაუქმება აზნაურობის, ორდენების, უპირატესობის და სხვ. სამინისტრო არ იყო ამაების თანახმა და იძულებული შექმნა გადამდგარიყო. ამის საპასუხოთ 8 ნოემბერს მეფემ მოიწვია კონსერვატორთა სამინისტრო, რომლის თავმჯდომარეობა ღენერალ გრაფ ბრანდენბურგს ჩააბარა.

როგორც ჩანს, კრებაზე მემარცხნენი იმარჯვებენ. დემოკრატები უმრავლესობას არ შეადგენდენ და თუ მაინც მათი აზრი გადიოდა, ამის მიზეზია ბერლინის მუშა-ხალხი, რომელიც ყოველ დღე მიტინგებს და დემონსტრაციებს მართავდა. დეპუტატთა საკრებულო სახლი მუდამ ხალხით იყო შემორტყმული და დეპუტატები ვერ ბედავდენ სხვანაირათ მოქმედებას თუ არ დემოკრატულათ. ნამდვილი კანონ-მდებელი აი ეს ხალხია. ხალხი არა თუ აკეთებს რევოლიუციას, არამედ გაკეთებულსაც იცავს, წარმომადგენელთ დარაჯათ უდგას და იქ, სადაც ისინი სუსტობენ, თვითონ დგება მათ ალაგას და ძალ-დატანებით თავისი გაჰყავს. დეპუტატები ყოველთვის უფრო კონსერვატორებია, ვინემ ხალხი. ყველა რევოლიუციის ისტორია ამას მოწმობს. რანაირათ დაარსდა საფრანგეთში პირველი, მეორე და მესამე რესპუბლიკა? აი ასე: რევოლიუციის შემდეგ დეპუტატები ერთათ იკრიბებიან და ბჭობენ იმაზე, თუ რომელი ჯობს, მონარქია თუ რესპუბლიკა. მონარქელები ყოველთვის უმრავლესობაა, მაგრამ ამ დავის დროს პარლამენტში იგრიალებს ხალხი და დაიძახებს: გაუმარჯოს რესპუბლიკასო. ამით სარგებლობს რესპუბლიკანელი დეპუტატები და დგება დროებითი მთავრობა. დღევანდელი რესპუბლიკა მხოლოთ პარიჟის ხალხმა დააარსა, პროვინციებმა შემდეგ იცნო. აი ასეთი რადიკალურია ქალაქის ხალხი.

რაკი სატახტო ქალაქს ასეთი გავლენა აქვს პარტიებზე, ცხადია, კონსერვატორთ უნდა მოეწადინებია ნაციონალური კრება ბერლინიდან სადღაც პატარა ქალაქში გადაეტანათ. და აი სწორეთ 9 ნოემბერს კრებას გამოეცხადა მთავრობის განკარგულება: ბერლინში ისპობა სხდომა და 27 ამ თვეს ქ. ბრანდენბურგში იხსნებაო. კონსერვატორებმა სიხარულით მაშინვე დარბაზი დატოვეს, დანარჩენნი არ დამორჩილდენ და პროტესტი განაცხადეს. კრებამ მოითხოვა სამინისტროს გადაყენება, და ამასთანავე გააჩინა: სანამ ბრანდენბურგის სამინისტრო არ გადადგება, მანამ არცერთ პრუსიელმა გადასახადი არ გადაიხადოსო. მთელ პრუსიაში ხმა გაისმა, უარი გადასახადზეო. მარქსის „ახალი რეინის გაზეთი“ (გამოდიოდა კელნში) 15 ნოემბერს სწერდა: „დღეიდან სახელმწიფო გადასახადი გაუქმდა! დღეიდან გადამხდელი სახელმწიფოს მოღალატეა, გადაუხდელობა მოქალაქის პირველი მოვალეობაა!..“ და შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ყველა ნომერი ასეთი დიდ ასოებიანი განცხადებით გამოდის: „Keine steuern mehr!“— „უარი გადასახადზე!‘ —

ამ ნაირათ, მეფეს და ნაციონალურ კრებას შორის კონფლიკტი (შეჯახება) დაიბადა. კრების დარბაზი ჯარმა დაიჭირა და დეპუტატთ სხდომის ნება არ ს[illegible]ა. ქალაქის ხალხი მოძრაობაში მოვიდა, რის გამო ი[illegible]ინი სამხედრო წესებში ჩააყენეს. იარაღის ტარება აკრძალეს და ოპოზიცია მოედვა ქვეყანას და დაიწყო აგიტაცია მთავრობის თვით-ნებობის წინაალმდეგ. 5 დეკემბერს გამოვიდა მეფის ბრძანება ნაციონალური კრების დაშლის და ხელ-ახალი არჩევანის შესახებ. ამასთანავე გამოაცხადეს ახალი საარჩევნო კანონი.

ამ კონფლიკტს ასე ახასიათებს მარქსის გაზეთი: „მეფე და ნაციონალური კრება ბატონებია. როგორც კი ამ ორ ბატონს არ შეეძლოთ თუ არ სურდათ შეერთებულიყვნენ, მაშინვე იქცევიან ორ მოპირდაპირე ბატონებათ. მეფეს უფლება აქვს კრებას ბრძოლა გამოუცხადოს. კრებას თავის მხრივ უფლება აქვს მეფეს გამოუცხადოს ბრძოლა; მეტი უფლება აქვს იმას, ვისაც მეტი ძალა აქვს. ხოლო ძალა იშინჯება ბრძოლაში, ბრძოლა იშინჯება გამარჯვებაში. ორივე ბატონს თავიანთი კანონიერობა მხოლოთ გამარჯვებით შეუძლია დაამტკიცონ, უკანონობა კი დამარცხებით. .“ მეორე ალაგას ვკითხულობთ: „პრუსიის ტახტი თავის უფლებაშია როცა ის ნაციონალურ კრების წინაალმდეგ მოქმედებს, როგორც თვითმპყრობელი; ნაციონალური კრება ვერ არის თავის უფლებაში, როცა ის ამ ტახტის წინაალმდეგ არ მოქმედებს, როგორც თვითმპყრობელი. პირველათ მას მინისტრები უნდა გამოეცხადებია სახელმწიფოს მოღალატეთ, ხალხის ხელმწიფობის გამცემათ. მას უნდა გადაეყენებია ყველა მოხელე, რომელიც კი მის ბრძანებას არ ემორჩილებოდა... ბერლინში დღეს ასეთი კითხვაა: მეფე თუ ხალხი, ხალხი თუ მეფე!!.

ნ. ჟ—ნია.

(შემდეგი იქნება)

## საციციანოს მთა და მისი არხეოლოგიური ნაშთები.

პირველი შესანიშნავი ტაძარია ამ მთაში წმიდის ნიკოლოზისა, რომელიც აუშენებია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს. იმის ზედ წარწერა სიძველის გამო ვერ გავარჩიე, თუ იგი რა დროიდან არის აშენებული, და შეუძლებელია, რომ ეს შესანიშნავი ტაძარი ქართლის ცხოვრებაში არ იყოს მოხსენებული. ეს ეკლესია არ უნდა ჩამოურჩეს სივრცით თბილისის სიონის ტაძარს, სიმაღლით უფრო მაღალია სიონის ტაძარზე. მთლათ ეკლესია აგურით არის ნაშენები, მაგრამ მეტათ მოხდენილ გეგმაზეა აგებული. ჯვარ-გუმბათით ჯერ ისევ შეურყეველია, და ძალიან ადვილათაც გაახლდება, თუ მას ვინმე გულშემატკივარი ამოუჩნდება, სანამ ის ჯერ კიდევ არ დაქცეულა. ამის გაახლებისა და გაშენების მოვალენი არიან თვით ციციშვილები, რადგანაც მათი წინაპრისგან არის აგებული, და დიდ ცოდვათ ჩეეთვლებათ, რომ ასეთი ძვირფასი და სამაგალითო ტაძარი დედამიწის ზურგიდან მათი დაუდევრობით აღიფხვრას; ამის გაახლებაზე შვიდასი თუმანი რომ გადადვან, შვენივრათ გაახლდება, და საუკუნოთ მთლათ ციციშვილების ხსენებაც დაუვიწყარი იქნება. რასაკვირველია ამოდენი ფულის გამოღება ციციშვილებს ერთბაშათ არ შეუძლიათ, მაგრამ მთის შემოსავლიდან რომ წლითიწლათ ესე ორას-ორასი თუმანი გადადვან, ოთხი წლის განმავლობაში რვაას თუმნამდის შეკროვდება, და ასე შეიძლება ამ აზრის კეთილ განხორციელება. ეს შესანიშნავი ტაძარი ძველ დროს მონასტრათ ყოფილა, ირგვლივ გალავნის ნანგრევი ჰყრია, და ერთი ეკლესიაც ამ ტაძარს გარდა სხვა კიდევ, იქვე მახლობლათ ყოფილა, რომელიც თავის სიძველის გამო დაქცეულა, და მარტო აღმოსავლეთის კედელიღაა დაშთენილი, რომელზედაც დღეს ისევ ცხოვლათ ატყვია ერთი ნახატი თითქმის ზომით ორი საჟენის სიმაღლისა. ეს არის ღვთის-მშობლის სახე თავის ძითურთ.

წმიდის ნიკოლოზის ტაძრის კედლები შიგნით მთლათ ბიზანტიის მხატვრობით არის შემკული, სადაცა მრავალ წმიდათა ხატთა შორის თამარ მეფეც არის დახატული და მასთან მარჯვენით შესავალ კარის კედელზე თვით ამ ტაძრის ამშენებელი ზაზა ფანასკერტელი ციციშვილიც თვისის მეუღლით, რუსუდანითა. კედლები ზოგან სიძველის გამო ჩამოშლილა ნალესი გაჯისა, და მასთან ჩამოჰყოლია ის შესანიშნავი მხატვრობაც, და ზოგან კი ისევ დღემდის კარგათ შერჩენია. ძირს ამ შესანიშნავ ტაძარს იატაკი თლილი ქვისაგან ჰქონია. მაგრამ ნახევრათ ისე აშლილ-დაშლილია, რომ კაცს გააოცებს; ამის მიზეზი თურმე ერთგვარი ქვემძრომია, რომელსაც იანგანს უწოდებენ; ამ ტაძარში მრავალი საფლავენი და აკლდამები ყოფილან, საიდანაც ამ ქვემძრომისაგან მრავალთა მიცვალებულთა ძვლებია ზეზე ამოყრილი. ბევრგზით ვეცადე ამ ცხოველის დანახვას, თუ რა შეხედულობისაა, მაგრამ ვერსად ვერ შევისწარი; საკვირველი ძალ-ღონისა ყოფილა, რომ ამოდენი ქვა და ღორღია მათგან ისეა მიწიდან ზეზე ამოყრილი.

ეკლესიას გარს მრავალი უზარმაზარი წიფლისა, იფნისა, და სხვა გვარის ხე-ტყე ახვევია. თვითონ ეკლესიაც საკმაო მაღალ გვერდაზეა აშენებული. თვალთათვის მეტ შვენიერ ადგილსაც არის; ძირს ვრცლათ გაწოლილ ხეობას და სოფლებს მდიდრათ გადმოცქერის. ამ ეკლესიის დღეობა მოდის ერთი 9 მაისს, და მეორეც 6 დეკემბერს. იქ ახლო-მახლო სოფლებიდან მრავალი ხალხი იკრიბება. მხოლოთ ეს არ ვიცი, ეკლესიას აქვს რამე ამ თავის დღეობებიდან სარგებლობა და შემოსავალი, თუ არა! უეჭველია ექნება, თუ ბევრი არა, ცოტა მაინც, მაგრამ ის კი არ ვიცით, მისი მღვდელი ახმარებს ეკლესიას შემოსავალს თუ არა.

ამ ზემოხსენებულ მთაში მეორე ეკლესია მდებარეობს სახელდობრ, სოფელ ტყემლუანას ზემოთ, მარჯვნივ, ვერცხლის მადნის მთის პირდაპირ. ის დგას ერთ მაღალ გვერდობის ვაკე ველზე. ეს ეკლესია თუმცა წმიდის ნიკოლოზის ტაძრის ოდენი არ არის, მაკრამ არც თუ პატარაა და მისმა ხელოვნებამ და ხუროთ მოძღვრების გეგმამ, არა მგონია, რომ კაცი არ გააკვირვოს. არც მგონია, რომ მისი შესადარი ძვირფასი ხელოვნებისა სადმე მთლათ საქართველოში მოიძიებოდეს.

ეს ეკლესია უგუმბათოა და მის სახურავზე სამი ისეთი უზარმაზარი ნაძვის ხე ამოსულა, რომ კაცს გააცვიფრებს. გასაკვირველია, მის ქვითკირის მაგარმა თაღმა როგორ იმაგრა დღემდის ისეთი საშინელი სიმაღლისა და სიმსხოს ხეები? ხეების ფესვებს თაღი გაუტეხიათ, და შიგნით ტაძარში ისე ჩამობლანდულან, თითქოს დედა ზარდლის ქსელიაო.

თითონ ტაძრის კედლები მთლათ თლილი პირისფერი კლდის ქვისგან არის ნაშენი. აღმოსავლეთით სული წმიდის ფანჯარა შიგ შუა ჯვარშია ამოჭრილი, თვით ჯვარი არის ფირუზის ფერის ქვისაგან შემდგარი, რომლის ჩუქურთმა და ქანდაკები კალმით აუწერელია. ამ ჯვარს თავზე მიხაკის ფერი ქვისაგან გამოქანდაკებული მეფის გვირგვინი ადგია, რომლის მგზავსი ჩუქურთმა და ხელოვნება ჯერ



ზაზა ფინასკენტელი-ციციშვილი.

არსად ნახულა, თეით დედა ქალაქებშიაც. გარშემო არშია ეკლესიისა არის იმავე ფირუზის ფერის ქვისაგან, იგიცა ისეთი ყურძნის ტევნებით და ვაზის ფოთლათ გამოქანდაკებული, რომ უკეთესს თვალი ველარას ნახავს. სამხრეთით კარბჭეთა სვეტნიც ცისფერი თლილ ქვით არიან, ისიც ძვირფასი ხელოვნებით დაჩუქურთმებული. შიგნით მთლათ ეკლესია ვიზანტიის ხელოვნური ოქროს ვარაყით და ლაჟვარდი წამლით ნახატია, თითქო მინანქრით იყოს ნახატი. მასთან სვეტნი კანკელისა თეთრისა და პირისფერის მარმარილოსაგან ნაკეთებნი ქონდა, ისინიც უფრო კიდევ ძვირფასის ხელოვნებით შემკულნი, რომლის სიტურფემ გული გამინათლა, მაგრამ მისმა ასე გაუპატიურებამ კი სწორეთ რომ დიდათ შემაწუხა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამისთანა ძვირფას ხელოვნებით შემკულ ტაძარში, თვით ქრისტიანებს, შიგ საქონელი და ღორ-ხბო ჰყოლიყოთ, რომლის ნაგვითაც მთლათ სავსე იყო, და მასთან შიგ ცეცხლის ნანთები კომლისაგან ასეთი ძვირფასი მხატვრობა მთლათ გამურული და გატრუსული იყო, და სადაც კი კომლი ვერ მიდგომია, იქ რომ კაცმა დახედოს თუ რა ხელოვნებისაა, მისი მხატრობა სწორეთ განაცვიფრებს. ამ ტაძრის დასავლეთის კედელი კი მთლათ ჩამონგრეულა; ეტყობა რომ ულმრთო და დაუნდობელი ხელისაგან არის მისი ასეთი შეურაცყოფა.

თავზე თვით ეკლესიას ლონფინი (თლილი ქვა) ხურავს, ისეთი ხელოვნებით არის დახურული, რომ სხვაგან არსად არის. წარწერა ამ ეკლესიისა ველარსაით ველარ მივაგენი; ის წარწერა თუ ექნებოდა უთუოთ დასავლეთის კარისკენ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთლათ ჩამონგრეულია ის კედელი. მისი ნანგრევი იქვე უშველებელ გორათ ძევს.

ამ ეკლესიისა მარტო ეს ცნობა მაქვს შეკრებილი, რომ იგი ყოფილა სახელ წოდებით ქოძიფის მონასტერი, გარს დიდი გალავანი რტყმია, შიგნით გალავანში ცხადათ ეტყობა ბერების სადგომები, პატარ პატარა სენაკებიც ყოფილა და მასთან პატარა სხვა-და-სხვა ეკლესიებითა სამწირველოებიც.

გალავნის შიგნით კარგათ ეტყობა წყლის გამოსავალი მილები, ალაგ-ალაგ წყლის გუბეებიც არის, უთუოთ სადმე ახლოს წყაროა გამონაყვანი. მაგრამ



უნუგეშო დედა.

ყველა ეს ძვირფასი ნაშთებთაგანი ულვთო და ბოროტ ხელთაგან არიან უფრო შემუსვრილნი, ვიდრე სიძველისაგამო. იქვე მახლობლათ ოსის სოფელია, რომელსაც სახელათ ტყემლოვანა ეწოდება, და აქ ამ სოფელში ისეთი პირუტყვი და თითქმის ველური ხალხი ცხოვრებს, რომ იმათ სარწმუნოებისა არ უნდა ესმოდეთრა. ადვილათ წარმოსადგენია ასეთი ხალხისაგან რომ ამ ძვირფასი ძველთა ნაშთების ქვები, თავიანთ სახლშიაც ეზიდოსთ კერების სახმარათ, და ბუხრების საშენებლათ.

ვინ არის დამშლელი და გულ-შემატკივარი? ციციშვილებს ამისთანა კეთილი საქმის საყურადღებოთ ჯერ კიდევ ძინავთ და ვინ მოესწრება მათ გამოღვიძებას, თავის ძველი ნაშთებისთვის გული შეიტკივონ.

ამათ გარდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სხვაც ბევრისაგან ბევრია ამ მთაში ტაძრებიც და ციხე კოშკებიც. თუ ვისმეს სურს, და გული ერჩის იმათ მომოხილვაზე, სწორეთ ახლაა მათი დათვალიერების დრო; აპრილიდან მაისში აქ თოვლი აღარ იქნება, და სწორეთ რომ დატკბება მათი მხილველი, მათისავე ნახვა-გამოკვლევით და ბუნების შვენიერი სიმდიდრით.

იასონ ციციშვილი.

# ნიკოლოოზ ბარათაშვილი და მისი დრო.

„დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტაცა ყვავილი...“
ნ. ბარათაშვილი.

(წერილი მესამე *)

ერთ შესანიშნავ ლექსში („სუმბული და მწირი“) ამ სახელოვან მგოსანთა მგოსანს ულრმესის სიმწარით აქვს დახატული თავისი უნუგეშო, სიცოცხლის შემმუსვრელი მდგომარეობა:

,,...მწირო, ხომ ხედავ, მოვკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, შვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს;
აგერ მისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას;

*) იხ. „კვალი“, № 7.

ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ვეღარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!..

. . . . . . . . . . .

,,არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;
არღა მეცემა დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა უზრდილებს?..“

პოეტი დარწმუნდა, რომ იმის გულს სულის ჩამდგმელი ,,სიცოცხლის ნამი“ აღარ ეცემა, ,,მზისა სხივი“ აღარ უნათებს და მზაკვრობით, ფარისევლობით ,,განაშორეს სამშობლო ველსა“ და ამას სწუხს, რომ ,,უჟამოდ ელების ბოლო!..“ მგოსანის სასუფეველის ტკბილი ხმები უმნიშვნელოთ იფანტებიან ,,ტანჯვითა და ბოროტებით ალვსილს დაზამთრებულს ბუნების სადგურზე“, სადაც დიდი ხანია კაცის გული ,,სევდით იმოსვის“,

,,რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!..“

ჩავუკვირდეთ ერთ წუთს ამ ლექსის ღრმა შინაარსს, სადაც პოეტმა გამოგვიხატა თავისი დიდათ გაბედული და ფართე შეხედულობა სოფლიოზე.

დიდი ხანი არ არის, რაც ევროპის მოაზრენი დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ საქაო ცხოვრების უბედურების მაზეზები თვით ბუნების წესის და ბედის-წერის მიუწდომელ, სივრცისა და დრო-ჟამის კატეგორიათა განუსაზღვრელ რაღაც ნაირ ბოროტ ძალებშია გამოკვერილიო, რომელთაც, თურმე, ადამიანი გაჩენისათანავე მიჰყავთ სიკვდილისა და წაწყმედისაკენ. ახალმა ისტორიამ იცის ისეთი მოაზრენიც, რომელნიც თვით ადამიანის მთელ არსებას შუაზე ჰყოფდენ და ამ ორ სხვა-და-სხვა, ერთი-მეორეს წინაალმდეგ, ელემენტებს შორის ატეხილ ბრძოლას უკვირდებოდენ. არა მცირედი ადგილი ეჭირა აქ უწინდელ პოეზიასაც, რომელიც იყო გამომხატველი ადამიანის არსებაში მუდამ დამკვიდრებულ ორ მოპირისპირე ძალთა პსიხიური წინაალმდეგობისა და გულის თქმათა, სულის ღელვათა ბრძოლისა. [1])

მხოლოთ ამ უკანასკნელ დროში უკეთეს მოაზრეთა მეოხებით დამტკიცდა, რომ კაცი იტანჯება, უკვდება იმას გრძნობა-გონების და ნიჭის ძალა იმი-

1) მაგ. ,,განდეგილი“ ილ. ჭავჭავაძისა, რომლის აზრი და შინაარსი პატივცემულ ავტორს არ ეკუთვნის, წარმოგვიდგენს მარტოოდენ სუბუქს და უმნიშვნელო აჩრდილს ადამიანის შინაგან ძალთა ასეთი ფსიხიური კონტრასტობისა და ბრძოლისას. აქ ვიკმაროთ ეს შენიშვნა ჯერ, ხოლო დაწვრილებით ამ საგანს ჩვენ თავის დროზე განვიხილავთ.

ავტ.

ტომ უფრო, რომ მოკლებულია ცხოვრების რიგიან და სამართლიან ნიადაგს, პირობებს. ჩვენი უბედურების მიზეზს ჩვენივე საკუთარ და გარე-შემორტყმულ ცხოვრების სოციალურ პირობებში უნდა ვეძებდეთ. ჩვენივე საკუთარი აზრები და მოთხოვნილებანი პირ წმინდათ შეეფერება ცხოვრების საზოგადო მატერიალურ მხარესაც და საზოგადო ფორმებსაც, და ამათ საზღვარს გადაღმა ეკვეცება ფრთები ჩვენ შეუჩერებელსა და ამაღლებულ სურვილებს და იდეალებს... აქ, რასაკვირველია, ადგილი არა აქვს იმის განხილვას, თუ რა გზით, რა საშუალებით შეიძლება კერძო კაცისა, გინა ერის და კაცობრიობის განთავისუფლება ამ უბედურებისაგან, ან მშრომელს როდის გაეღება დახშული კარი საპყრობილისა და — ჩვენი პოეტის თქმისა არ იყვეს — ,,მის გულს სიცოცხლის ნამი და მზის სხ·ვი მიუალერსებს"...

ჩვენ აქ მხოლოთ აღვნიშნავთ იმ ამბავს, რომ ევროპაში შემუშავდა აზრი, მთელი თეორია, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი იტანჯება, იმიტომ რომ საზოგადო ცხოვრების პირობები, რომელნიც მას გარს არტყია, შეუფერებელია, და მაზარალებელი კაცისათვის... მაშასადამე, ცხოვრების საქმეთა მიმდინარეობა გვაიძულებს ჩვენვე მდგომარეობის მიზეზთა კვლევა-ძიებას, რომ შევიგნოთ ჩვენ გარეშემო აზვირთებული მოძრაობის მნიშვნელობა და შევითვისოთ ნათელი და ჭეშმარიტი აზრი.

ასეთი აზრების გასავრცელებლათ თანამედროვე ლიტერატურაში ყველაზე უფრო გამოსადეგი შეიქნა რომანი, ნაყოფი ახალი დროისა. შეიცვალა და შემუშავდა დრამის აზრიცა და ხასიათიც. ახალი შეხედულობა ჰსწვდა ლირიკასაც და შეუცვალა აზრი და შინაარსი, მიმართულება და კილო. როგორც ევროპასა და რუსეთში, ისე ჩვენშიაც ამ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდენ ნიჭიერი ლირიკოსნი, რომელნიც კერძო კაცისა და მთელი ერის ცხოვრებას დასტრიალებენ, თავს ევლებიან. ისინი მცირე, პაწია სასიმღერო ლექსებშიაც მოუსვენრათ და აღელვებით, ოხვრით მოსთქვამენ ისეთ გრძნობებს, გამსჭვალულნი არიან ისეთი მოტივებით, რომელნიც წარმოუშობავს ჩვენი საზოგადო ცხოვრების დღევანდელ ვითარებას...

მაგრამ ამ უკანასკნელი დროის ქართველ პოეტთა უწინარეს ჩვენ ლიტერატურაში მხოლოთ ერთათ-ერთი ნიკოლოოზ ბარათაშვილის ლირიკა შეაშფოთა და ჩააფიქრა ამ ,,ჯოჯოხეთის შვილთა" ცხოვრების აზრმა და ისე ღრმათ დატანჯა ჩვენი ქვეყნის ერთი უპირატესი შვილი,

,,როგორც იდუმალ, მაგრამ მძიერად
დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა
ტრფიალებისა ცეცხლი ციური". (ჩინარი).

პოეტი თავის ბუნებასთან შეხორცებული აზრებითა და იდეალებით, რაღა თქმა უნდა, მაღლა დგას თავის თანამედროვე ქართველთა საზოგადოებაზე. იმას ვერ ართობს ქონდრის კაცთა დამამცირებელი, წვრილმანი გულის თქმანი, რომელნიც მაშინდელ ჩვენ საზოგადოებაში ერთობ თვალ-საჩინოთ ატივტივებულიყვენ და საქვეყნოთ ჭუჭყს იყენებდენ. ამ დროს ,,მეგობართა, ნათესავთ მოკლებულს" პოეტს ,,სევდიანსა გულის სენი" შემოხვევია და იგი ,,ობოლ-სულათ" თვლის თავის თავს. ისეთი აუტანელი ,,კრული უნუგეშობის" გამომხატველია დაობლებულთ სულის მდგომარეობაო, ამბობს პოეტი, რომ ამ მხრით ვერ შეედრება მას, ვერც ,,ობლობის ვაება", ვერც ,,უთვისტომობის" განუსაზღვრელი უბედურებაო სად არის ტოლი, ჭირისა და ლხინის შუაზე გამყოფი ,,სწორი" საყვარელი მეგობარი, რომელსაც ესმოდეს დიდი მგოსანის წრფელი გრძნობანი და მაღალი მისწრაფებანი? მაშინდელი ქართველობა, საერთოთ რომ ვთქვათ, გრძნობა-გონების არა-რაობის გამომხატველი იყო და, რასაკვირველია, უკეთესი შვილის სულიერს მდგომარეობას ვერც წარმოიდგენდა. რა უნდა დაერქვას იმ კაცს, ანუ კაცთა საზოგადოებას, რომელსაც არ ესმის სხვა კაცის, თვისი წევრის ფიქრი და გაჭირვება, მხიარულება და მწუხარება? აქ ცხოვრების ყოველი ინტერესი ჩაკრულია და უმაღლესი აზრით გატაცებული, მხურვალე გრძნობებით გამსჭვალული ადამიანი ,,ობოლი სულია", რადგან სიცოცხლის ნატამალი აღარ არის და მიმკვდარია.

სწორეთ ასეთმა მდგომარეობამ მწარეთ გულმოკლულსა და დანაღვლიანებულ პოეტს სამართლიანი გულის ტკივილითა და დიდი მწუხარებით ამოაკვნესა:

,,ძნელი არის მარტოობა სულისა...
...ოხვრა არის შვება უბედურისა!"

ამის შემდეგ პოეტის ლექსნი გამოხატვენ მხოლოთ და მარტო გაშმირებულ წუხილს და გოდება', ტყუილათ, ფუჭათ ჩავლილ და დაკარგულ ფიქრებსა და იდეალებზე, გულის ღრმა და გამოუთქმელ ტანჯვას, რომელიც წარმოუშობავს საქართველოში სამოქალაქო მოღვაწეობის უნიადაგობას. პოეტის მოთმინებისა და გამწარების ფიალა თავამდის აივსო და ღონე მიხდილ შფოთვარებაში საშინელი გამწარებით ჰკვნესის და ოხრავს...

და, აი, თქვენ წინ დგას დიდი ივერიელი, მე-

ტათ მაღალ სულოვანი, ღრმათ ჩაფიქრებული და მიუბაძავი პოეზიისა და ხასიათის მოტივებით გამსჭვალული, რომელიც სამოქალაქო გრძნობებსა და საკაცობრიო აზრებზე არის გადამკვდარი. მგოსნის პირველ ლექსებშივე, თავიდანვე დავინახეთ ჩვენ ნაღვლიანი კილო, რომლითაც თავდება თითქმის თვითეული ლექსი იმისი, რაც უნდა დამატკბობელ, სამხიარულო და ქალწულოვან პოეტურ საგანს ეხებოდეს. მაგრამ აქ კი პოეტის სულის კაეშანი და ოხვრანი უმწვერვალეს წერტილამდე მიდის და ამით მჭევრ-მეტყველურათ ჰხატავს მთელი იმ დროის ქართველთა ვაების სურათს...

სიხარულისა და სიტკბოების ჭეშმარიტი პოეზია შეუძლებელია და ულონო ხრწნილების, დიდი უბედურობის დროს. ჩვენი პოეტი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა და შეიგნო ეს აზრი და ამდენ ხანს ტრეუსავით შეიდობიანი სკეპტიკი—მგოსანი თავის ძლიერი ნიჭის თავ-შეუკავებელ და საზღვარ-დაუდებელ უარის-ყოფას გაუტაცნია. ამ მხრით ფრიად შესანიშნავია ლექსი:

„მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოთ, ჩემი მერანი". 1)

შავი ბედისკან გულ-ამღვრეული, სულის აუტანელ მწუხარებაში ჩავარდნილი პოეტი იეწყებს ყოველიფერ აქაურობას და აღვირ-მიშვებული მი-

---

1) პატივცემული ი. მეუნარგია, რომელმაც „ივერიაში" დასტამბა ნ. ბარათაშვილის ვრცელი ბიოგრაფიული ცნობანი და წყვდიადით მოცულ პოეტის ცხოვრებას შუქი მოჰფინა, ამბობს: „ჩემს მერანს" არ არის სრულად ორიგინალური ლექსი ბარათაშვილისა, როგორც „სადღეგრძელო" არ არის ორიგინალური პოემა გრ. ორბელიანისა. თავი და პირველი აზრი ლექსისა ეკუთვნის პოლონიის დიდებულს პოეტს მიცკევიჩს". შემდეგ ბიოგრაფს პირ-წმინდათ მოჰყავს მიცკევიჩის ლექსის „ფარისის" („ფარისი" ნიშნავს მხედარს, რაინდს) შინაარსი, რომელიც თავდება უდაბნოში დაღუპული მხედარის ამგვარის სიტყვებით:

„Такъ душу въ высь я устремилъ
И въ небѣ съ мыслью схоронилъ".

როგორც ამ შინაარსიდან ჩანსო, ამბობს ბ-ნი ი. მეუნარგია, მიცკევიჩის „ფარისსა" და ნ. ბარათაშვილის „ჩემს მერანს" შორის დიდი განსხვავება არისო. „ჩვენმა პოეტმა გადმოიტანა თავის ლექსში მხოლოთ დედააზრი ლექსისა: მხედარი და მერანი და ჩაურთო შიგა და შიგ ელემენტები „ფარისისა": „თვალბედითი შავი ყორანი", „გასწი მერანო", „კლდენი" და მხოლოთ „ვარსკვლავთ, თანამავალთა" (ეს ელემენტები მიცკევიჩსაც არაბული ლექსებიდან აქვს გადმოღებული, როგორც ჩანს ლაგრანჟის ონტოლოგიიდან). გარნა შინაარსი მისის ლექსისა სულ სხვა არის, ვიდრე „ფარისის" შინაარსი.

„ბარათაშვილმა ჩინებულათ მოიხმარა მიცკევიჩის ლექსის საზოგადო პლანი. „ფარისში" არავინ იცის, რატომ გადმოჰქრილა არაბი და სად მიისწრაფვის იგი. ბარათაშვილის ლექსში კი მხედარის განზრახვა ცხადია. ის მირბის და მიფრინავს, რომ გაექცეს კაცს, სწორთა და მეგობართა, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია, რომ ან ნიავს მისცეს მისი შავათ მღელვარე ფიქრი, ან მერანის გიჟურ ლტოლვას თან გაატანოს. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა მისი სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც როგორც ვიცით, კაცებთან ყოფნა ეზარება. ეს მერანი უგზო-უკვლოთ მიაფრენს მას, მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება".

აქ მე ჩემ თავს ნება უნდა მივცე, რომ ერთი მცირე შენიშვნა გამოვთქვა. ამ სამი წლის წინათ მე ვნახე ერთი ძველი დაბეჭდილი ქართული წიგნი, სადაც გადმოთარგმნილი იყო, სხვათა შორის, იმავე მიცკევიჩის ძალიან პატარა ლექსი (სათაური არ ჰქონდა.) და ქვეშ ამ თარგმანს ეწერა: „მ. თუმანოვი". ამ ლექსშიაც გამოყვანილია ცისა და ვარსკვლავთა მოტრფიალე რაინდი, რომელიც ძველი ლიტვის მინდორ-ველზე ცხენს მიაჭენებს და იღუპება. როგორც ხედავთ, ეს ლექსიც მიცკევიჩისა „დედა—აზრით" ძალიან წააგავს მიცკევიჩისავე ნაწარმოებს „ფარისს" და, მაშასადამე, გამოდის ის დასკვნა, რომ მიცკევიჩს აქვს ორი სხვა-და-სხვა ლექსი, რომელიც „დედა-აზრით" სრულიად ერთნაირნი თანაბარნი და მსგავსნი არიან, მხოლოთ კი სხვა-და-სხვა ვარიაციებით გამოთქმული. აშკარაა, რომ ამ პაწია ლექსის ავტორი მიცკევიჩი უნდა ბამავდეს „ფარისის" ავტორს მიცკევიჩსავე. მაგრამ ასეთი დასკვნა, სწორე მოგახსენოთ, სოფისტურიც რომ არ იყოს, წარმოადგენს ერთ უშველებელ სალიტერატურო აბსურდს.

მართლაც და, თუ შესანიშნავნი და უდიდესი პოეტები, როგორც, მაგ., შელლი და ნამეტურ ბაირონი ინგლისში, ლამარტინი და აკკერმანი—საფრანგეთში, შილლერი და გეტე—გერმანიაში, მიცკევიჩი—პოლონეთში, პუშკინი და განსაკუთრებით ლერმონტოვი—რუსეთში და ნ. ბარათაშვილი—საქართველოში თავიანთ სხვა-და-სხვა ნაწარმოებშიაც და პაწია სასიმღერო ლექსებშიაც კი გამომხატველი არიან ერთისა და მხოლოთ ერთი აჩემებული დედა-აზრისა, ეს გარემოება ამტკიცებს მხოლოთ იმ საყოველთაო ფაქტს, რომ ყველა ეს პოეტები ცალკ-ცალკე თავიანთ ქვეყნებში, სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე, წინამორბედნი იყვნენ იმ ახალი, ცხოველ-მყოფელი ლირიკისა, რომელმაც კაცობრიობას შთაბერა მღელვარე და ენერგიული ჭაბუკობის სული უკვდავებისა და რომელსაც, ამ ახალ ნაკადულს, მსოფ-

აქროლებს ჰაერში გაჭენებულ პარნასის რაშს. იგი საქვეყნოთ უცხადებს ომს სამშობლო ერის გაუბედურებულ ბედს, მის ულმობელ დედინაცვალს:

„ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!

. . . . . . . .

„თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი"

და სიკვდილს უქადის ყველას, ვინც გზაზე გადაეღობება და ხელს შეუშლის ალბორგებულ, გაბოროტებულ სულის ოხვრათა საშინელებას.

---

ლიო ლიტერატურაში უწოდებენ ბაირონიზმს. დედააზრი ბაირონიზმისა მთელ მაშინდელ შესანიშნავ პოეტთათვის საყოველთაო იყო და აუცილებელიც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინ და არა სხვა დროს, როდისმე, ლიტერატურაში დაიბადნენ ჩაილდჰაროლდები, მანფრედები, ფაუსტები, ფარისები, ნ. ბარათაშვილის მერანზე მჯდომი „სულით ობოლი", რომელთაც კაცთა საზოგადოება და წუთი-სოფელი შესძაგდათ და მღელვარე შავი ფიქრებით ქროლა დაიწყეს უფსკრულსა და უდაბნოებში, კლასიკურ ქვეყნების მინდორ-ველსა და კლდე-ღრეებში.

„თავი და პირველი აზრიც" ბაირონიზმისა სწორეთ ეს იყო, რომელიც აძლევდა ხასიათს, მიმართულებას და ფორმასაც, საზოგადოთ, როგორც პოლონეთის პოეტის მიცკევიჩის, ისე საქართველოს პოეტის ნ. ბარათაშვილის პოეზიას. ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ ერთის თქმა: „თავი და პირველი აზრი", როგორც ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებისა „ჩემს მერანს", ისე მიცკევიჩის ლექსის „ფარისისა", მომდინარეობს, აგრე წოდებულ, ბაირონიზმის ახალი და ძლიერი ნაკადულიდან და მეტი არაფერი. გარდა მაგისა, ჩვენი მოსაზრება რომ მართალი არ იყვეს, მაშინ არც ერთი დიდი სალიტერატურო ნაწარმოები, გეტეს „ფაუსტი", თვით გენიოსი შექსპირის გასაცვიფრებელი ნაწარმოები „ჰამლეტიც" კი, წარმოიდგინეთ, არ იქნებოდა „სრულად ორიგინალური" თხზულება, რადგან თვით ფაბულა, „თავი და პირველი აზრი" იმისა იტალიელთა ერთი გადმოცემიდან აქვს აღებული ავტორს (იხ. ამ საგნის შესახებ დაბეჭდილი ჩინებული სტატია გიორგი ბრანდელისა, „Русская мысль", 1895 წ. ნომერი არ მახსოვს). საქმე მხოლოთ და მარტო ნაწარმოების შინაარსია და მისი ხელოვნურათ დამუშავება, სადაც უნდა დაიხატოს ინდივიდუალური ნიჭის შემოქმედებითი ძალა. მაგრამ, რაც შეეხება შინაარსს ბარათაშვილის ნაწარმოებისას: „ჩემს მერანს", ფრიად სინიდისიერი ბიოგრაფიც ხომ გადაჭრით ამბობს: „გარნა შინაარსი მისი ლექსისა სულ სხვა არის, ვიდრე შინაარსი „ფარისისაო".

ავტორი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ სულ სხვა, თითქმის გასაშტერებელ სურათს წარმოადგენს. ცეცხლი, რომელიც დიდის ძლიერებით ანთებულიყო ამ შესანიშნავი ივერიელის გულში და რომლის ნაპერწკლების შუქით უნდა განათებულიყო მთელი სამშობლო მხარე, გარს შემოედო ამ „სულით ობოლს" და ილუპება... ახლა, წარმოიდგინეთ, თვით პოეტსაც არა სურს, რომ მისი „ოხვრანი და კაეშნის ხმანი" ვისმეს სწვდებოდეს და აღელვებდეს. მას მოუძულებია თავი თვისიც და ნათესავნიც, „სატრფოც გულისა" და მამულიც, ის მამულიც, რომლის არე-მარენი მთლათ მორწყულია წინაპართ წმინდა სისხლით და რომელთა საფლავი სალოცავ საგნათ გაეხადა აქამდის პოეტს; ახლა იმას განმარტოებით, ველურათ უნდა სიცოცხლეც და სიკვდილიც, როგორც ეს მართლა შეფერის ნამდვილ „სულით ობოლს". აკი, ამიტომაც სწორეთ, პოეტმა დასწყევლა და შეაჩვენა ის, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია ამ ქვეყნათ იმისთვის და თვისი მერანი მიაშურა სამშობლო ქვეყნის თვალ გადასავლებ სივრცის უდაბურობას, რომლის წიაღში უნდა ჰპოვოს მან თვისი იდეალების დასასრული. და აქ, მხოლოთ და მარტო აქ, სამშობლო ბუნების ამ ხელ-უხლებელ, ან როგორც პოეტი ამბობს, „ტიალის მინდვრის მდელოთა შორის შავი ყორანი გაუთხრის საფლავს" და აქ დაასრულებს თავის სიცოცხლეს გმირული თავგანწირულებით.

მთელი ეს საოცარი პათოსი ლირიზმისა გარდატანილია მერანზე. გამწარებული პოეტი მერანს აწყვეტინებს თვისი ვაებისა და უბედურობის ღრმა, აუტანელ სიმძიმეს და იმის დაჭრილი, დაღადრული გულის სიღრმიდან ამომსკდარს ნაღველში მოისმის გლოვის ზარივით მწარე ხმა, რომელიც საფლავამდე აღარ შორდება ამ წმინდა ადამიანს.

სომლელი.

(შემდეგი იქნება)

* * *

როს მოვხუცდი, მხოლოთ მაშინ
შემომფრინდა ჩემთან მუზა!..
მეწვია და მივაძახე:
—„რა გინდოდა? „ბუზა, ბუზა"!

—

გაეცინა! შემომხედა!
—„რას მიწყრები"?—მკითხა ჩქარა;
— „პოეტობას არ გიქადი,
დამერწმუნე არა, არა!"

—„რა გაგითდა პოეტობით?
მგოსანი ვინ შეიყვარა?
უველა მას მტრობს, ემუქრება
და არ ჯერა მისი არრა!..“

—

—„სიღარიბე, სიღატაკე
მისთვის არის, სხვისთვის არა,
ლექსობით და შაირობით
თავის თავი გაიმწარა!..“

—

—„ყველაფერი მოითმინა
და არ გატყდა იგი, მარა
თავის თავათ, შეუმჩნევლათ
ბევრი ცრემლი კი დაღვარა!“

—

ეს მითხრა და გაჰქრა უცბათ,
როგორც ქურდი, გაიპარა;
მის ნათქვამს მე არრას დავძენ,
რაც იმან თქვა, ისიც გმარა.

ფანდი.

## ჩვენი სახიობა.

Დღეს ხვალ დაგვიდგება დიდ-მარხვა და წრეულს არც ერთი ხეირიანი ახალი პიესა არ გვინახავს, რაღაც უფერულს, ულაზათოს არდგენენ. მართალია, იქნება ზოგი პიესები ჩვენი ცხოვრების წინა-მორბედათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ კაცის გულს არ მოხვდება და მასზე არ იმოქმედებს წარმოდგენა, რაში გამოგვადგება თეატრი. აი, თუნდ ავიღოთ ოთხშაბათის წარმოდგენა. სადღაც იტალიაში ხან ერთი ცარცვავს ბანკს, ხან მეორე და ამას რასაკვირველია, ცოლ-ქმრობის ღალატიც მოჰყვება. ბევრისგან გვესმოდა: ჩვენი ცხოვრება აქ რა შუაშია, ღვთის მოწყალებით ჯერ იშვიათნი არიან ჩვენში მაგისთანა რაინდებიო.—დღეს ხვალ გვეყოლებაო, უპასუხებდენ მეორენი,—ადრევე უნდა ვიწუხოთ და ვიდარდოთო... და სხვა. ამისთანა პიესებს მხოლოთ კაი მსახიობები აცოცხლებენ და სულს უდგამენ. ახლა ვნახოთ, როგორ წარმოადგინეს ეს პიესა. მობენეფისე, ჩვენი ნიჭიერი ალექსი-მესხიშვილი, როგორც შეჰფეროდა იმის ნიჭს, შეუდარებელი იყო; სადაც შფოთვა, ღელვა და სულის კვეთება უნდა გამოეხატა, იქ თითქოს ხმა შეჰფეროდა კიდეც, მაგრამ, როგორც კი დინჯათ მოჰყვებოდა ლაპარაკს, მსმენელთ მისი ხრინწი ხმა ნერვებს აუშლიდა და ჩვენ ნამდვილ ცხოვრების ვარამს თვალ-წინ წამოგვიყენებდა, თითქოს სრული ნიჭის მქონე ვინმე ჩვენთვის არ არი გაჩენილი... სამწუხაროთ დრამატიული არტისტკა ერთის მეტი არა გვყავს და ქ. ავალიშვილისას როგორ შეუძლია კვირაში ერთხელ ახალი დრამატიული როლის შესწავლა.

ვინც ხშირათ ხედავს სცენაზე ბ. გედევანოვს, მის თამაშობაში მხოლოთ იმ ცვლილებას ამჩნევს, რომ ერთხელ ცისფერი ყელსახვევი აქვს და მეორეთ წითელი; ერთხელ ცოტა მოგრძო თმები და მეორეთ მოკლე.

არც ქ-ნი ივანიძისა თამაშობდა ხეირიანათ, გაეზეპირებინა თავისი როლი და სხაპა-სხუპით ამბობდა, სახეზე გამოეხატებოდა: ნეტა არ შემეშალოს სიტყვებიო.

ვოდევილი გაჭიანურებული იყო, სიცოცხლე აკლდა, თორემ არა უშავდა-რა.

ხალხი დიდძალი დაესწრო, ასე სავსე თეატრი დიდი ხანია არ გვინახავს. ძვირფასი საჩუქრები ბლომათ მიართვეს მობენეფისეს.

## მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა.

Ამდენი ხანია აღარ მინახავს. საწყალი, რას დამსგავსებია, თქვენი ჭირიმეთ! რამ მოაგონა კვალათ ჩემთან მოსვლა, საით მომძებნა თავისზე საწყალი, თავისზე უძლური, სუსტი არსება, უღონო, ბეჩავი, ბედკრული! ჰოო! დიაღ, ეს ჩემი სატრფოა, ჩემი სათაყვანებელი, ჩემი ქვეყნიური ღმერთი!.. მიყვარს, ძალიან მიყვარს, მაგრამ ხშირათ კი ვერა ვხედავ ხოლმე და არც მეჩვენება თვალით, არ დამენახვება ხშირათ. იმის სურათს მუდამ გულით ვატარებ, მისი სახე განუშორებლივ, განუწყვეტლივ თვალწინ მიციმციმებს. დიდი, დიდი ხანია ერთხელ წინათ ვნახე: როგორი თამამი, გაბედული სახის გამომეტყველება ჰქონდა! მადლით შეზელილ ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგან, სადათ ეცვა ტანთ, მაგრამ ძალიან უხდებოდა. მტკიცე, გამჭრელი მიმოხვრა ჰქონდა და ვარდის ფერ ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა. პირველათ რომ დამინახა, გამიცინა, დამაცქერდა, ყელზე გადმეჭდო და მხურვალეთ კოცნა დამიწყო. „გიყვარდე და მეყვარებიო“ მითხრა და მინამ გონებას მოვიკრეფდი, გაქრა, გამისხლტა. მხოლოთ თავისი სურათი ღრმათ აღბეჭდა ჩემ გულზე, რომ ვერც ერთი საფლავის ქვის მთლელი ისე ღრმათ ვერ ამოჰკრის საჭრეტლით ეპიტაფიას. ვინ იცის რამდენი ხანია მას აქეთ, აღარ მახსოვს რამდენი წელია, ვიცი კი რომ კარგა ხანია... უყურეთ რადროს მოჰგონებია ჩემი ნახვა!

გარეთ ქარი ღმუის; ცივა, ქვა ტყვრება სიცივისაგან, ნამქერს ისვრის ქარი, ყველაფერს ჭვალივით ჰსენავს სიცივე, ძვალსა და რბილში ისარივით ესობა... ჩემ გულში კი მყუდროებაა. არაფერზე აღარა ფიქრობს ჩემი გონება, თითქოს გაჩლუნგებულა, გულის მძლავრი ოდესმე ბგერა შემდგარა. რაც მწამდა აღარ მწამს, რაც მიყვარდა აღარ მიყვარს, აღარც ღონე მაქვს; მკლავი დადუმებულა, სისხლი გაცივებულა ძარღვებში. მე ჩემ თავს აღარ ვიცნობ, მძულს ჩემი თავი. თავის თავზე ბრაზი მომდის: ასე რათ გამოვიცვალე? რატომ აღარა ვარ ის, რაც ერთ დროს ვიყავი? რა მემართება? ნუ თუ ასე ცოცხალ-მკვდარათ უნდა დავრჩე?.. არა, ცოცხალს თუ სრული სიცოცხლე არ ექნება, მირჩევნია სრული სიკვდილი! და ვაპირობდი ან დამბაჩისთვის მეთხოვნა მოელო მოწყალება და ან დანისთვის. აი სწორეთ ამ დროს...

—შინა ხარ? გაისმა ხმა გარედან. ამ ხმის გაგონებაზე ჟრუანტელმა დამკრა თავში და ფეხებში გაირბინა: ის ხმა თითქოს მეცნობოდა.—შინა ხარ? გააღე კარი რაღას მალოდინებ? ვითომ კაცი ხარ, არ გებრალები, ადამიანი რომ ვიწვი და ვიღაგები ამ სიცივეში? ისმოდა დაჟინებით გარედამ ხმა.

—ვინა ხარ, ვინ? ვის გაგიღო კარი? რა თავხედი რამ ვინმე ჰყოფილხარ! უცნაურს როგორ გაგიღო კარი, განა ისე სულელიცა მნახე? ვუპასუხე მე. მითხარი სახელი და კარს მაშინ გაგიღებ.

—სახელიო? აღარ ვიცი მე ჩემი სახელი, აღარც ვინაობა ვიცი თავისა. მხოლოთ ვიცი რომ ადამიანი ვარ, მიცნობ და შენც გიცნობ მე. სახელიც დამავიწყდა თავისა ამ ავი დროსა და ავი დარისაგან. ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ამოვიდა ეს არის სული. ჩქარა თუ გწამს რამ კიდევ ქვეყანაზე, თუ სრულიად არ გადაგიგდია სანაგვეზე შენი კაცობა. განა კაცობა მაგას ჰქვიან რომ შიშის გამო-იქნება ყაჩაღია და მომკლასო, მადლი ველარ გიქმნია?! ჰაი შე ლაჩა ო, შე სულ-მდაბალო შენა!.. ძალიან მდიდარი ხარ რომ შენ სიმდიდრეს დავეშურო? რა გაქვს, რისთვის უნდა მოგკლას შენ ავაზაკმა. ერთი სულიერი საუნჯე გქონდა და ვგონებ ისიც დაჰკარგე.

—არა, მე ვტყუი. მაპატიე, უცხო სტუმარო, მაპატიე, მომიტევე დანაშაული, კაცნი ვართ, ადვილათ ვერ ავიღებთ ხელს თავის თავზე. მობრძანდი, ვინც უნდა იყო, ახლა აღარ მეშინია. ვთქვი მე და გავუღე კარები.

შემოვიდა სახლში. ცეცხლის სინათლეზე ოდნავ გავარჩიე მისი სახე. ვიცანი ის იყო. ავეგზნე, ავენთე: ეს რასა ვხედავ ის არის, ისა! ღმერთო, ღმერთო ჩემო!

ოდნავ გადმოიხედა და თვალები და პირი ცეცხლისაკენ მიმართა კერას და ცეცხლაპირას ჩამოჯდა. იმავე, ადგილას, სადაც ერთ დროს იჯდა, მაშინ ახალწლის ღამეს მეწვია. ახ, რა ლამაზი იყო მაშინ, თვალს ვერ მ აშორებდა კაცი და როგორ გამხდარა, როგორ გასაცოდავებულა ახლა!.. სახე ჩაჰყვითლებია, თვალები დასისხლული აქვს, თითქოს ცრემლის გუბეში ჩამდნარანო. დაძველებული თალხი ჩიქილა ძლივს ეფარება თავზე და თმა მირევ-მორევით ჩამოსწეწია ბრწყინვალე შუბლზე. ისევ ფეხშიშველაა. მომერია ცრემლი თვალებზე, უნდა დამეწყო ტირილი, მაგრამ თავი შევიკავე, პირი მოვარიდე, მინდოდა ცრემლები დამემალა, გულზე მოწოლილი სიბრალული და ნაღველი არ გამომჟღავნებულიყო... მაინც და მაინც ლამაზი იყო; ისევ მყვარებოდა და არკი ვიცოდი.

—რათ მარიდებ პირს, რაო? მოდი, დაჯექი ცეცხლთან. შეგზარა ჩემმა ნახვამ? გიკვირს რომ გამოვცვლილვარ? ნუ გიკვირს, ნუ! ტირილი გწადიან? იტირე. ვინ დაგიშლის. გეცოდები? გახსოვს ხომ ერთხელ რომ გეწვიე? მას აქეთ კარგა ხანია და აი ეხლა დღეს გესტუმრე. განა რომ გამოვცლილვარ? ჯავრმა იცის. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოვიარე, ბევრ განსაცდელს გადავრჩი.

—ვინ გტანჯავს? ვინ გაწვალებს ის უღმერთო? შენ რა გმართებს ვისი? ვუთხარი მე.

—არაფერი. მაგრამ არიან ისეთნი, რომ სხვისა ტანჯვით და ღალონებით თითონა ხარობენ. გაიგეს მერე რომ უპატრონოა და ლამის სულსა იქით აღარაფერი შემანარჩუნონ, ჩემთვის ყველაფერი ბევრი მქონდა: ადგილი, მამული, სახნავი, სათესი, ვენახი წისქვილი, წყალი, მთა-ბარი ჩემი საკმაო. მომიშარეს და წამართვეს.

—როგორ თუ წაგართვეს?

—არ იცი განა როგორ ართმევენ? თქმა მან. ხელი აიღეო, მიბრძანეს, თორემ ხომ იციო; სკიპურტი და შენი ჯანიო, ზედ დამირთეს. არც [illegible] სტყუოდენ. მე წარვუდგინე საბუთები, პირობები, სიგელები, ვინ იცის რა და რა არა: ცაში ღმერთი და დაბლა დედა-მიწა. მაგრამ ამაოთ. პატარა საბოსტნე ადგილი გადმომიგდეს და გუშინ იმისიც გამომიცხადეს, ხელი უნდა აიღოვო. სადღა წავიდე, აღარ ვიცი რამ უნდა დამარჩინოს? რამ უნდა შემინახოს? ოჰ, რა ძნელია რომ ადამიანს არა ჰყავს პატრონი, შემწე და მფარველი.

—ახ, უსამართლონი, ღმერთმა შეარცხვინოს ისინი! ღმერთმა ნუ აჩვენოს იმათ კეთილი, თუ არ გემართლებოდენ! ვბუზღუნებდი მე ჩემთვის, შუბლზე ოფლს მასხავდა, გულმა მძლავრათ ბგერა დაიწ-

ყო, კბილებს ვალრჭენდი, სისხლი თავში იწევდა... ჩვეულებრივმა გრძნობამ გამოიღვიძა და სიცოცხლე ვიგრძენ ..

—სახლ-კარიც დამიწვეს; თუ რამ სახლში იყო, ისიც ცეცხლმა იმსხვერპლა, დიაღ, დამიწვეს სახლი, თითონ ფერხული დაებათ და გარეშემო სიმღერით უვლიდენ. თქვენ ჩემი ეს დაიწყო საბრალომ ქვითინი და ცრემლის ფრქვევა... მეც იმას ავყევი, ბანი მივეცი. ორივენი ვტიროდით. დაიქანცა ტირილით, ოხვრით; მიდო თავი იქვე კერის პარას კუნძზე და მიეძინა; მეც ავიღე ძველი ფარდაგის ნაგლეჯი და ზედ მივაფარე... ამერია გუნება, ველარ დავდეგ სახლში, გამოვედ კარში. ქარი ისევ ღმუოდა. მე მუშტს ვულერებდი და უმსგავსათ ვილანძღებოდი. ხან ნიჩაბს დავავლებდი ხელს და გადავყრიდი თოვლს აქეთ-იქით. ახლა ცულს წამოვავლე ხელი და დავუწყე ჭრა შეშას. შუაღამე გასული იყო და მე კი პირ-ოფლიანი შეშაზე ცულს ვასკარტუნებდი. მაგრამ თვალებიდან ცრემლი და გულიდან ნაღველი არა მშორდებოდა... შევედი ისევ სახლში. ცეცხლი ოდნავლა ბჟუტავდა. დავაცქერდი ჩემ სტუმარს. როგორ მობუზულა! როგორ მოკრუნჩხულა. მუშტის ტოლალა გამხდარა, ძლივსღა ფეთქავს. რა საბრალო სანახავია, მეტ სალოდაობას ხომ ველარას ჰნახავს კაცის თვალი... კვლავ ამერია გუნება, კვლავ დავიწყე ტირილი. თავისუფლათ ვიყავი, აღარავისა მრცხვენოდა, აღარც მეშინოდა... გარედან ხმაურობა შემომესმა: სიცილი, ხარხარი. ვინ იცინის? ნუ თუ მე დამცინის ვინმე? ვინ უნდა იყოს, აქ ამ დროს?.. მერე ტირილის, ჟივილ-ხივილის ხმა მომესმა და მომაგონდა ამ ადამიანს ხომ შვილებიც ეყოლებოდა, იქნება თან გამოჰყვენ, და ეძებენ, ვერ უპოვნიათ მშობელი დედა და ტირიან-მეთქი... ისევ კარში გავედი. ჩემ კარებს თავზე გუნდი ლამურებისა დაფარფატობდა,— ჩემ დანახვაზე აქეთ-იქით გაიფანტენ და მიიმალენ წყვდიადში. ყურს ვუგდებ: მხოლოდ ქარი ღუღუნებს, ქვეით ოდნავ წყალი ჩხრიალებს. სხვა ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი... ისინიც ხომ მადარდებენ, მაგრამ ისე არა როგორც ეს,—ეს ჩემი სატრფო მეშინიან არავინ მოიტაცოს, ან ავათ არ გახდეს. ოჰო, ძლიერ მეშინიან და მივესწრაფები სახლში... ისევ ისე საბრალო წევს; ისევ ისე ხოლო რაღაცას ლუღლუღებს; ყური დავუგდე: „ნუ მომკლავთ, ნუ მომკლავთ, თქვენი ჭირიმეთ! რა დაგიშავეთ? რათა მკლავთ, რათა. ახა ვაგლახი მე, რა ულმერთოები ჰყოფილხართ?!“

—არავინა გკლავს, არა. ნუ გეშინიან, შენი ჭირიმე, ვერავინ მოგკლავს. ვინ გაჰბედავს? ვამბობდი მეც და თავს დავჩერებოდი.

—ჰა? სთქვა მან და გაახილა თვალები: — ოჰ, რა ცუდი სიზმარი ვნახე. ვითომ ისევ თავს დამესხენ ბავშებს მტაცებდენ, და ხანჯლებით მიტევდენ მოსაკლავათ. ამოიოხრა ბოლოს და მიიძინა...

დიდხანს ვიჯექი მეც იმის პირ-და-პირ ჩემ მამაპაპის კერაზე და მის მილეულ გახუნებული შვენიერებითა ვტკბებოდი. მეც დამძინებოდა. დილაზე გამეღვიძა. თვალი მივავლ-მოვავლე გარეშემო, ჩემი სტუმარი გამქრალიყო, იქ აღარსად იყო. ხოლო ხელში ქაღალდის ნაკუწი მეპყრა და იქ შემდეგი სიტყვები ამოვიკითხე: „გიყვარდე, ნუ დამივიწყებ თუ გინდა ბედნიერი იყო“.

მართლაც ბედნიერი ვიყავი: გულსა და მკლავს ძალა მოჰმატებოდათ, გონება ისევ წინანდებულათ სჯიდა და ფიქრობდა; გრძნობები იკრეფდენ თავითავს,—თავი მაღლა მეჭირა და ვიძახოდი: მე განა ღირსი ვარ იმის სიყვარულისა? იმის ყურადღებისა?!. არა და კიდეც იმიტომა ვარ ისევაც ბედნიერი.

გაყა-ფშაველა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## განცხადებანი.

1893 წ. 8 ივნისის, სატრაქტირო დებულების მე 34 §-ის თანახმათ გამგეობა სთხოვს მობძანდენ გამგეობის სადგურში: სასტუმროებისა (гостинница) და ბუფეტების პატრონნი ამა წლის 27 თებერვალს, ხუთშაბათს; რესტორანებისა და კაფე რესტორანებისა 1 მარტს, შაბათს; დუქნებისა, სარდაფებისა, სადაც საჭმელებსაც ჰყიდიან და სასტუმრო ოთახებისა, სადაც სამზარეულოცა აქვთ გამართული — 3 მარტს, ორშაბათს, დილის 10 საათზე, რათა ქალაქის სასარგებლოთ დაწესებული სატრაქტირო გარდასახადი ამა 1897 წლის ერთმანეთ შორის გაიწერონ. ხოლო ტრაქტირებისა, სასმელების დუქნებისა, ყავა-ხანებისა, სახაიებისა თუ ცხელ საჭმელსაც ჰყიდიან, საკანდიტეროებისა, ადგილობრივ საჭმელ პეროჟნებისა, სანოვაგეთა დუქნებისა და ბაკეების პატრონთ, ქალაქის გამგეობა იმავე სატრაქტირო დებულების მე 33 §-ის თანახმათ სთხოვს მობრძანდენ ამა გამგეობის სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონებს ამა წლის 17 თებერვალს, ორშაბათს; 2) სასმელების დუქნების პატრონებს — ამა წლის 18 თებერვალს, სამშაბათს; 3) ყავა-ხანებისა, სახაიებისა, თუ ცხელ საჭმელებისაცა ჰყიდიან, საკანდიტეროებისა და ადგილობრივ საჭმელ პიროჟნების დუქნების პატრონთ — ამა წლის 19 თებერვალს, ოთხშაბათს; 4) სანოვაგეთა დუქნების პატრონებს — ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს და 5) ბაკეების პატრონებს — ამავე წლის 25 თებერვარს, სამშაბათს, დილის 10 საათზე, სატრაქტირო გარდასახადის გამნაწილებელ წავრთა ამოსარჩევათ. (3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს საყოველთაოთ, რომ 1897 წლის 18 მაისს დანიშნულ ტფილისის საბჭოს არჩევანის უმთავრესი სია უკვე შედგენილია და გამგეობამ დაიწყო შედგენა დასამატებელ სიებისა, რომელშიაც ჩარიცხულ იქნებიან ტფილისის ის სახლის პატრონნი და მემამულენი, რომელნიც ამ წლის 5 მარტამდე გადიხდიან მათზე დარჩენილ დაფასების გარდასახადს 1897 წლის პირველ ნახევრისას. (3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Февраля 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.